ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2459133

ნომერი: AR1382249

თარიღი : 29.02.2016

გაცემის თარიღი : 01.03.2016

გაცნობის თარიღი : 07.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარაზის ხევში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ნიშნიანიძე პ/ნ 01008005544
- თაქთაქიშვილის 10

ნომენკლატურა :

- სასადილო
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გია ნიშნიანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008005544

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1210.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 79.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 191.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 190.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.4

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 2.59
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.39
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ვარაზის ხევში არსებული შენობის დემონტაჟის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. დასაზუსტებელია ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები (შენობა–ნაგებობა N1–ის ფართობი არ შეესაბამება საჯარო რეესტრის მონაცემებს);
2. წარმოდგენილი უნდა იქნეს დემონტაჟის სრულყოფილი პროექტი:
3. არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები;
4. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ–არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);
3. სადემონტაჟო შენობის გეგმა არ შეესაბამება საკადასტრო გეგმაზე ნაჩვენები შენობის კონფიგურაციას;
4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მესაკუთრეს – შპს "ვარაზის ხევი 95"–ს, საჭიროა დამკვეთად ორგანიზაციაში დაფიქსირდეს შესაბამისი ორგანიზაცია და დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარის გრაფაში მიეთითოს მისი წარმომადგენელი – დირექტორი – ნაირა ლიპარტელიანი; ამასთან, ბეს ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიწის დაზუსტებული ფართობი და შენობა–ნაგებობა N1. ვინაიდან, ხდება შენობა–ნაგებობა N1–ს დემონტაჟი საჭიროა წარმოდენილ იქნას მეორე მხარის – შპს "ახალი ვარაზი"–ს თანხმობა ან/და შპს "ახალი ვარაზი"–ს დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.